ხელშეკრულება № 163
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ტყიბული

01 ნოემბერი 2016 წელი

ერთი მხრივ, ს.ს.ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი") გამგებლის რობიზონ გვენეტაძის სახით და მეორე მხრივ ა.ა.ი.პ „ჯადოსნური ხმები" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი პროდიუსერის თამაზ ქაჯაიას სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით აფორმებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას.

CVP კლასიფიკატორის კოდი 79900000.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 შესყიდვის ობიექტია სახალხო ზეიმ ტყიბულქალაქობაზე გასამართი საზეიმო კონცერტის ტექნიკური უზრუნველყოფის მომსახურება. (შემდგომში "მომსახურება").

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1500 (ერთიათასხუთასი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისსა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მომსახურება ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველის და მიმწოდებლის წარმომადგენლების ხელმოწერით.

4.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმომწერი პირია ტყიბულის მუნიციპალიტეტის გამგებელი რობიზონ გვენეტაძე.

5. მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. მომსახურების მიწოდება განხორციელდება მისამართზე ტყიბულის მუნიციპალიტეტი

5.2. მომსახურების მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 05 ნოემბრის ჩათვლით.

6. მხარეთა უფლება–მოვალეობები

6.1 ,,მიწოდებულისაგან'' მოითხოვოს ხელშეკრულებით გათავალისწინებული ყველა პირობის დაცვა

6.2. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.3. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

6.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს

კონტროლი, რომლის მიზანია მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
7.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
7.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.
8.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1 (ერთ) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება
8.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ფორს–მაჟორი

9.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს–მაჟორული გარემოების შედეგი.
9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს–მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
10.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
10.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ
10.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2016 წლის 01ნოემბრიდან და მოქმედებს 2016 წლის 06 დეკემბრის ჩათვლით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

13. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ს.ს.ი.პ. „ტყიბულის მუნიციპალიტეტი“ ქ. ტყიბული, კ. ლომაძის მოედანი №3 საიდენთიფიკაციო კოდი 219636259. სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში ბ.კ. TRESGE22	ა.ა.ი.პ „ჯადოსნური ხმები" ქ. თბილისი, ი.პეტრიწის 16ა საიდენთიფიკაციო კოდი 205182826 ს.ს. "საქართველოს ბანკი" ბ.კ. BAGAGE22 ა.ა. GE92BG0000000176220800